მოგზაური დანაიდა

გსმენია რამე მოგზაური პეპლების შესახებ? ეს ტექსტი სწორედ ასეთ პეპელას გაგაცნობს.

სამყაროში ბევრი საოცარი არსებაა. ერთ-ერთი ასეთი საოცრება არის პეპელა დანაიდა. ის ზამთარს, გადამფრენი ფრინველის მსგავსად, თბილ ქვეყნებში ატარებს. ამ მიზნით შემოდგომით სამშობლოს ტოვებს და სამხრეთისკენ მიფრინავს.

დანაიდა სხვა პეპლებთან შედარებით უფრო დიდი ზომისაა. ამ მწერის ფრთების სიგრძე 10 სმ-ია. ფრთებზე შავი ზოლები აქვს, კიდეებზე – წინწკლები. ამიტომ მისი ამოცნობა ადვილია. სხვა პეპლების მსგავსად, დანაიდაც **ნაზი** არსებაა. ის **მაქსიმუმ** 4-5 კვირას ცოცხლობს. თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ ძალიან შორს გაფრინდეს. დანაიდა გადაფრენის დროს ათასობით კილომეტრს ფარავს.

პეპლის მოგზაურობა ზაფხულის ბოლოს, შუა აგვისტოში, იწყება. ამ დროს გამოჩეკის პერიოდი წყდება. პეპლები მიფრინავენ როგორც კანადიდან, ისე აშშ-ის ჩრდილოეთი შტატებიდან. ისინი გეზს კალიფორნიისა და მექსიკისკენ იღებენ. ეს გზა სულ მცირე 2000-იდან 5000 კმ-ამდეა. დანაიდები დღეში საშუალოდ 80 კმ-ს ფარავენ. მხოლოდ საკვების მისაღებად თუ ჩერდებიან. დანაიდებს არ აშინებთ ძლიერი ქარი და წვიმა. ავდრის დროს ისინი ისევ **შეუპოვრად** აგრძელებენ გზას. თუმცა ბევრი მათგანი იღუპება. ცნობილია, რომ ყოველ შემოდგომაზე მექსიკისკენ 300 მილიონი დანაიდა მაინც მიფრინავს.

დანაიდები თბილ ქვეყნებში მრავლდებიან. ის პეპლები, რომლებიც კვერცხებს დებენ, უკან ვეღარ ბრუნდებიან. მშობლიურ მხარეში მხოლოდ მესამე ან მეოთხე თაობის პეპლები ჩადიან.

როცა გაზაფხული დგება, დანაიდები ცაში აიჭრებიან. ისინი ისევ მშობლიური მხარისკენ მიფრინავენ. დღემდე აუხსნელია, როგორ ახერხებს ეს ნაზი არსება ამხელა გზის გავლას. ამიტომაც მიაჩნიათ დანაიდების მოგზაურობა ბუნების **სასწაულად.**

ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით.

რატომ მიაჩნიათ დანაიდა ბუნების საოცრებად?

კომპონენტი: *მთავარი იდეა და დეტალები,* **დონე:** *4.1*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?

ა) დანაიდა გადამფრენი პეპელაა.

ბ) დანაიდას ფრთებზე ზოლები აქვს.

გ) დანაიდა 5 კვირამდე ცოცხლობს.

2 რომელი დეტალი მიუთითებს დანაიდას გარეგნობაზე?

ა) დანაიდა მხოლოდ ოთხ-ხუთ კვირამდე ცოცხლობს.

ბ) დანაიდასთვის გამრავლების პერიოდი თებერვალში იწყება.

გ) დანაიდას ფრთებზე აქვს შავი ზოლი და წინწკლები.

3 რომელია მესამე აბზაცის ძირითადი აზრი?

ა) ბევრი პეპელა გადაფრენისას გზაში იღუპება.

ბ) დანაიდა შორ მანძილზე ფრენას შეგუებულია.

გ) შუა აგვისტოში გამოჩეკის პერიოდი წყდება.

4 დანაიდას მოგზაურობა ბუნების სასწაულად მიაჩნიათ, რადგან:

ა) 300 მილიონი დანაიდა ერთად ტოვებს სამშობლოს.

ბ) ასეთი ნაზი არსება ასე შორს ფრენას ახერხებს.

გ) ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიფრინავს.

5 რომელი დეტალი *არ ჩანს* ტექსტში?

ა) რა დრო სჭირდებათ დანაიდებს სამხრეთის ქვეყნებამდე მისაღწევად.

ბ) რატომ დებენ გადამფრენი პეპლები კვერცხებს თბილ ქვეყნებში.

გ) რის გამო იღუპებიან გადაფრენის დროს დანაიდები.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. დანაიდა სხვა პეპლებივით **ნაზია.**

   ა) პატარაა. ბ) სუსტია. გ) ჭრელია.

2. ის **მაქსიმუმ** 4-5 კვირას ცოცხლობს.

   ა) საშუალოდ. ბ) ყველაზე მეტი. გ) ყველაზე ცოტა.

3. დანაიდა ავდარშიც **შეუპოვრად** აგრძელებს გზას.

   ა) სწრაფად. ბ) უშიშრად. გ) ფრთხილად.

4. დანაიდების მოგზაურობა ბუნების **სასწაულად** მიაჩნიათ.

   ა) საოცრებად. ბ) საჩუქრად. გ) სილამაზედ.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

1. ა) სუსტი. ბ) უსუსური. გ) უღონო. დ) უცნაური.
2. ა) გაბედული. ბ) გულადი. გ) დაკვირვებული. დ) შეუდრეკელი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. დანაიდა ზამთარს *(თბილი)* ---------- ქვეყნებში ატარებს.
2. დანაიდა სხვა *(პეპელა)* ---------- მსგავსად ნაზი არსებაა.
3. დანაიდას *(ქარიშხალი)* ---------- არ ეშინია.

2 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

1. მხარე – ---------- .
2. კიდე – ---------- .
3. პეპელა – ---------- .
4. ქვეყანა – ---------- .

გრამატიკა

3 შეარჩიე საჭირო სიტყვა.

დანაიდას ამოცნობა ადვილია, ---------- მას ფრთებზე ზოლები აქვს.

(რადგან, რათა)

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.

	[X] *საშვალოდ.*	[ ] *საშუალოდ.*
1.	[ ] მისაღებად.	[ ] მისაღებათ.
2.	[ ] მზგავსად.	[ ] მსგავსად.
3.	[ ] ყველა საჭირო თვისება.	[ ] ყველა საჭირო თვისებები.

წერა

1 ამოიწერე ტექსტიდან დეტალები დანაიდას შესახებ.



2 წარმოიდგინე, რომ დანაიდებს შეუძლიათ თვითონ გვიამბონ თავიანთი გადაფრენის შესახებ. ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით დაწერე ერთ-ერთი დანაიდას ნაამბობი. გააფორმე შენი ნაწერი ნახატებით.

შეგიძლია დაიწყო ასე:

დადგა შუა აგვისტო. მე და ჩემი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები გასაფრენად მოვემზადეთ. დავემშვიდობეთ ჩვენს მშობლიურ კუთხეს და ცაში ავიჭერით. დაიწყო ჩვენი სახიფათო მოგზაურობა...

_____

_____

_____

_____

_____